

1938

ქრონიკა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1938წ.

№: 2

ზაზას სიხარული



ერ კიდევ არ გათენებულიყო. ქუჩებში ავტოები დაქროდნენ, ხალხს საარჩევნო უბნისაკენ მოუწოდებდნენ.

დედამ ლიანას და ზაზას თბილად ჩაცვა, საარჩევნო უბანში წაიყვანა.

— აუუ, სად იყო ამდენი ხალხი, ნეტავ წუხელის არ უძინიათ? — ფიქრობდა ზაზა, როცა საარჩევნო უბანს მიუახლოვდნენ, და თვალს ვერ უჩერებდა ელნათურებიდან გამოკრთობილ სხივებს.

უბანი საზეიმოდ იყო მორთული. თორმეტი დეკემბრის კრიალა ცაზე ღრუბლის ნასახიეც არ ჩანდა.

— ჩემთან წამოდი, გოგონა, შენც, ბიჭიკო! — მიეგება მასწავლებელი ქალი ლიანასა და ზაზას, როცა ისინი საარჩევნო უბნის ეზოში შევიდნენ.

მასწავლებელი ქალი, დედა ლუბა, ზაზას მოეფერა, მიუაღერსა, ხელი მოჰკიდა და ლიანასთან ერთად ერთს ლამაზად მორთულ ოთახში შეიყვანა.

სანამ დედა ბიულეტენს ჩაადგებდა ყუთში, ბავშვები ძალიან გაერთვნენ.

ოცტა ხნის შემდეგ მამა მოვიდა, საარჩევნო ყუთში ბიულეტენი ჩაადგო, სათამაშო ოთახის კარები შეაღო. ზაზა ცხენს აჩქიჩქებდა, მათრახს ზურგზე ურტყამდა.

ზაზა მამას არ გაჰყვა. ტირილი მოართო. თვალებით ცრემლებით ავესო.

— ზაზა, ხვალ ჩვენს სკოლაში მოდი, ბევრი, ბევრი, სულ ბევრი ცხენი გვაქვს! ვითამაშოთ და ვითამაშოთ! — დაამშვიდა ლუბამ.

დედა ლუბამ ზაზა ხელში აიყვანა, მოეფერა.

— ხვალ თუ ჩემთან მოხვალ, პატარა თოფს მოგცემ, ცხენზე შეგსვამ.

ზაზას გაეხარდა. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— რამდენი ხალხი შედის იმ ოთახში, ნეტავ რას არიგებენ! — გულუბრყვილოდ იკითხა ზაზამ, როცა კარები გააღო ცისანამ და დერეფანში დაინახა კაცები და ქალები, რომლებიც მიდიოდნენ.

— ბიულეტენებს არიგებენ!

— რათ უნდათ? — შეეკითხა ლიანა აკვირებული სახით ცისანას.

— ყუთში უნდა ჩაადგონ, ხმა უნდა მისცენ დებუტატებს! — გაიმეორა ლიანამ ცისანას ნათქვამი. ამ სიტყვებზე ლიანას მოაგონდა, გუშინ რომ დედა დებუტატების არჩევის შესახებ ესაუბრებოდა. ლიანა დაფიქრდა, დაინტერესდა და მერე მამას მიმართა:

— მამილო, მაჩვენე, სად ჩაადგეთ ხმა, თორემ სახლში არ წამოვალ!

— მეც, მამილო, მეც! — გაიმეორა ზაზამ. მამამ ბავშვებს სურვილი შეუსრულა, საარჩევნო ბიულეტენების ჩაადგები ყუთი დაანახვა მათ.

შინ რომ მივიდნენ, ლიანა მაგიდას მიუჯდა და გაუთავებლად ჯღაბნიდა ქალღლებს. ცისანამ შინ წასვლა დააპირა. ზაზა კი სულმოუთქმელად უყვებოდა დედას რაღაც ამბავს.

ლიანა უცბად წამოხტა, ხელები მაღლა შემართა და წამოიძახა:

— ბავშვებო, ჩვენც მივაწყოთ არჩევნები, ჩვენც მივცეთ ხმა ძია სტალინს! — ლიანას სიტყვებს ტაშისცემით შეხედნენ ცისანა და ზაზა.



ზაზამ სკამიდან ისკუბა, ფეხები მარ-
დად გაუსვა, ცისანას მიუტყევა. ცისანა
ზაზას გაჰყვა. პატარა თამული წრეში
შეფოფხდა, ხელებს უცაცუნებს, ტაშს
უკრავს, მოცეკვავეებში ტრიალებს. ბავ-
შეები ხან მარჯვნივ გაჰკრავენ გვერდს
და ხან მარცხნივ. თამული იატაკზე ეცე-
მა, მაგრამ არ ტირის. სხვა დროს კი
ტირილით დაქცევდა ყველაფერს.

ბავშვებმა კიდევ გააგრძელეს ცეკვა-
თამაში. ბოლოს სიმღერაც თქვეს:

„ცაზე მთვარე ამოსულა, ნანინა, ნანა,
ნიშანია დარისაო, ნანინა, ნანა,
ბედნიერი ცხოვრებისთვის, ნანინა,
ნანა,
ვენაცვალე სტალინსაო, ნანინა,
ნანა“.

სიმღერა შეწყდა.

ლიანამ სამუშაო გაანაწილა. ცისანას
მეზობლის ბავშვების მოყვანა დაევალა,
ზაზას კი საარჩევნო ყუთის გაკეთება.

ზაზამ შეშის საწყობიდან ფიცრის ნა-
კრები ამოიტანა და ოთხკუთხად დაჭრა.
კოტა ხნის შემდეგ მშვენიერი ყუთი გა-
აკეთა. ცისანამ ბავშვებს შეატყობინა.

— რამდენი ამომრჩეველი მოვა?

— ოცი, ლიაკო, ოცი!

ცისანამ საარჩევნო ოთახი საწოდებ-
ის გვერდზე მოაწყო. პატარა დროშები
და პლაკატები კედელზე დაკიდა.

ლიანამ დიდი ბელადი სტალინი
წამოაყენა დეპუტატად. ცისანამ ~~მეგობარი~~
~~გუნდი~~ — ვოროშილოვი.

— მე ძია მოლოტოვს ვასახელებ! —
თქვა ზაზამ.

ბავშვები უკვე მოგროვდნენ. ცისა-
ნამ ყუთი გასინჯა, ლიანასაგან დამზა-

დებული ქალღლები და კონვერტები
გადათვალო, ფანქრები მაგიდაზე დაა-
ლაგა. არჩევნები გახსნილად გამოაცხა-
და. საარჩევნო ოთახში პირველად
შევიდა, მერე ლიანა, ენო, გურამი, გი-
ვი, და ასე სათითაოდ ყველამ მისცა ხმა
თავიანი კანდიდატებს.

დღის სრულ ოთხ საათზე ცისანამ
ყუთი გახსნა. ხმები დათვალო და გამოაცხა-
და უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუ-
ტატები: სტალინი, მოლოტოვი,
ვოროშილოვი, ~~მეგობარი~~

ზაზამ ისევ დაუარა.

ცისანამ ბავშვები ორ მწკრივად და-
აწყო. თამული ყველაზე წინ დააყენა. ზა-
ზამ დროშა ააფრიალა. ქუჩაში სიმღე-
რით გავიდნენ. თამული ძლივს მიბაჯ-



ბაჯებდა. სიმღერას ისიც თავისებურად
აყოლებდა ხმას. ახმაურებულ ქუჩებს სა-
სიამოვნოდ ეფინებოდა ბავშვების მზი-
არული სიმღერები:

მივყვებით და კვლავ გავყვებით
ჩვენ ლენინის გზას,
ვყოფილვართ და
კვლავ ვიქნებით
შრომისათვის მზად!

— თამული, თამული! — მოსმოდა
ყოველი მზობიდან ბავშვების ძახილი.





ამანათი ძია შმიდტს



I
 ღონბასის პიონერებმა
 მისწერეს: „ნოემბრის შვიდს,
 კომისარს ყინულეთისას
 საყვარელ ძია შმიდტს.
 გიგზავნით პიონერების
 დროშას და ძლიერ გთხოვთ,
 რომ მოდრეიფე ყინულზე
 ეს დროშა აღმართოთ“.

II
 ოტო შმიდტმა რომ მიიღო
 ბავშვებისგან ამანათი,
 ჩაეცინა და მაშინვე
 გაუგზავნა მათ ბარათი:
 „პატარებო! თქვენმა თხოვნამ
 გამაძინა, გამახარა,

გაძლევთ სიტყვას, რომ თქვენს
 დროშას
 გადავგზავნი პოლუსს ჩქარა.
 ბედნიერი ბავშვები ხართ,
 თქვენ არ იცით ცრემლი, დარდი,
 დაწაფეთ განათლებას,
 იკითხეთ და განვითარდით.
 ბედნიერი აწმყო შეგხვდათ,
 წარსულს თვალი გადაავლეთ,
 რომ შემცვლელნი იყოთ ჩვენი,
 სულ ისწავლეთ! სულ ისწავლეთ!“
 ბარათი რომ წაიკითხეს,
 ბავშვებს ძლიერ გაეხარდათ
 და ძია შმიდტს უპასუხეს:
 — ჩვენ სწავლისთვის მუდამ მზად
 ვართ!



ა. ბ ა რ შ მ

ღ მ რ ე ნ ს ი ვ მ

სიმღერები უყვარს მერის
 და ზღაპრებსაც ეტანება,
 და ნელის ხმით მას უმღერის
 ლორენსიტო შავთვალემა.

თუ ატირდა, ის პაწიას
 გაუქარწყლებს დარდს და სევდას,
 უმღერის „მამიტა მისა“¹⁾,
 „მამიტა“ კი ნიშნავს „ღვდას“.

მერის მღერა იამება
 და ზღაპარსაც ეტანება,

ზღაპარს ნაზად ეუბნება
 ლორენსიტო შავთვალემა.

დასძენს ნატვრას გულოთადას
 ლორენსიტო მალაგელი:
 „ერთად ვნახავთ ლენინგრადსა,
 იქ დროშები აქვთ წითელი.“

მეგობრებთან იქ ვიცხოვრებთ,
 თავს მეგობრად შევინახავთ,
 მადრიდშიაც ერთად წავალთ,
 გამარჯვების ზეიმს ვნახავთ“.

¹⁾ ეს არის ესპანური სახალხო სიმღერა.

თარგმანი ა. ახნაზარძისა.



1

ქობულაძის 30-ს, გენერალმა ვრანგელმა პერეკოპის სიმაგრე დაათვა-

ლიერა. ვრანგელს თან ახლდნენ ოქროს-პაგონებიანი და ზიზილ-პიპილებიანი რევი-ცოები. მალალი გამხდარი, უშნო და წაწკილი ვრანგელი წინ მიდიოდა. ამაღლა და სიმაგრის მშენებელი ინჟინრები უკან მისდევდნენ. ვრანგელი ხანდახან მობრუნდებოდა და ცივი თვალებით გადახედავდა ამაღლას. ეს თვალები მოხარული თევზის თვალებს გავდა. ამ თვალებში იშვი-ათად თუ ნახავდა ვინმე სითბოს ან სინათლის სხივს.

ოფიცრები და ინჟინრები შიშითა და შორილებით მიჰყვებოდნენ ვრანგელს და ოდნავ გასაგონად ჩურჩულებდნენ:

— ევროპის სამხედრო ექსპერტებმა ხომ დაასკვნეს, რომ პერეკოპი მიუვალია? ლატვიის ნახევარკუნძულს სივამი იცავს. იუშუნი ხომ რკინა-ბეტონითაა ჩაიკრული...

— ინგლისელებმა პირდაპირ განაცხადეს: პერეკოპს ათი წლის განმავლობაში შეუძლია უარტილერიოდ გაუძლოს მტერსო.

— ვრანგელს განსაკუთრებით თურქის დამბა მოეწონათ... მართლაც, რა სიმაგრეა! სიმაღლე ოთხი საყენი, წინ ხუთი საყენი სიღრმის ორმო, ორმოს კალთები და ფსკერი მავთულხლართითაა გამაგრებული. ახა სეკადონ ბოლშევიკებმა ამ დამბის აღება!

— სსს! ბარონმა მოიხედა... რალაცას ბრძანებს. — ვრანგელი შეჩერდა. ამაღლას მიახლოების ნიშანი მისცა.

— ბატონო ოფიცრებო და ინჟინრებო, — თქვა ვრანგელმა და გრძელი ყუბები ისე დააქანა, თითქოს ცხენი ქერს ღეჰავსო. — ამიერიდან ყირიმი მიუვალა მტრისათვის.



2

ქობულაძის 7-ს, 1920 წ., სამხრეთის ფრონტის მთავარსარდალი ამხანაგი ფრუნზე პერეკოპის პირდაპირ პოზი-

ციას ათვალიერებდა. ფრუნზეს თან ახლდნენ წითელი არმიის მეთაურები. ზოგს მაზარა ეცვა, ზოგს ტყაპუკი, ზოგს ქურჭი. ყინავდა. პირიდან ოხშივარი ამოსდიოდათ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ხელებს ისრესდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ჩქარა ავიღოთ ეგ ოხერი პერეკოპი!

— ახლა ყირიმში სითბო იქნება. ოხ, როგორ გაუთბები!

— დავიბან. გავსუფთავდები და თვატრში წავალ.

ფრუნზე შეჩერდა. ყველანი გარს შემოეხვივნენ. იმედითა და სიყვარულით შეაჩერდნენ საყვარელ სარდალს.

სარდალმა ჩამოწეულ უღვაშებზე ჩამოისვა ხელი, შეყინული ფიფქი მოიშო-

რა და ამხანაგებს გაუღიმა. ღიმილი უკვირან შუბლს შეეფინა და ნაოკები გაუსწორა.

— მიქარვაა, თითქოს პერეკობი აუღებელია—თქვა ფრუნზემ.—წითელი არმიისათვის არაფერია აუღებელი. სამხრეთის ფრონტის ხელმძღვანელი ამხსტალინი გვითვლის პერეკობი უნდა ავიღოთო, და ავიღებთ კიდევ. ხომ ასეა, ამხანაგებო?

— ავიღებთ! ავიღებთ! — ერთხმად უპასუხეს მეთაურებმა.

— ამაღამ საერთო შეტევაზე გადავალთ,—დაიწყო ფრუნზემ.—სამი მთავარი მიმართულებით უნდა დავარტყათ. იუშუნზე, ლატვის ნახევარკუნძულზე და თურქის დამბაზე. ამხანაგი ბლიუხერი იუშუნის პოზიციას აიღებს. სივასის ზღვაზე გასვლას მე ვადევნებ თვალყურს. სივასზე გავლით ჩვენ ზურგში მოვექცევით მტერს. მესამე ძლიერი სიმაგრე თურქის დამბაა. აქ საჭიროა მთელი არტილერიით დავსცხოთ, შემდეგ იერიში მივიტანოთ. თურქის დამბის პირდაპირ ხომ შენა-ე პოლკი დგას?

— დიახ, ამხანაგო სარდალო!

— ვნახოთ პოლკი.

ფრუნზე ჩაყვა სანგრებს. მე-15-ე პოლკის სანგრებში წითელარმიელები წუნარად იწუნენ და პერეკობისა კენ იტკირებოდნენ. ცა იყო ტყვიისფერი, დაბალი. სანგრების პირდაპირ თურქის დამბა იწვურჩხულივით.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, გამარჯობათ! — ეუბნებოდა ფრუნზე წითელარმიელებს. — მალე ვიქნებით ყირიმში, მალე გაერთაფისუფლებთ ჩვენს მიწაწყალს. ხომ კარგად ხართ, ამხანაგებო?

— კარგად! კარგად! — უპასუხებდნენ წითელარმიელები.

— ოღონდ მალე დავსცხოთ პერეკობს.

ერთგან ფრუნზე შეჩერდა. ამ ადგილას სანგრები წინ იყო წაწეული და გამომწვევად უყურებდა თურქის დამბას. სანი-

შნოში ტყვიამფრქვევს ჩაეყო თავი და პერეკობს მისჩერებოდა.

ფრუნზე დაიხარა ტყვიამფრქვევის გახედვა სანიშნოში და თქვა.

— შეტევაზე გადახვლისას ამ ტყვიამფრქვევს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. აქ საჭიროა მამაცი მეტყვიამფრქვევი.

— არის ასეთი, ამხანაგო სარდალო! — მოახსენა ფრუნზეს ერთმა წითელარმიელმა და ემშაქურა ჩაიცინა.

— ვინ არის?

— წითელარმიელი ალექსი ერმაკოვი, — ცოცხლად უპასუხა წითელარმიელმა.

— მანვენთ რომელია?

— მე ვარ ერმაკოვი.

ფრუნზეს გაეცინა და ერმაკოვს მხარზე ხელი დაადო. ახოვანი, ბრგე, ქერა ერმაკოვი ვაჟაკურად იდგა და უღიმოდა სარდალს.

— აბა, თქვენ იცით, ამხანაგო ერმაკოვი! პერეკობი უნდა ავიღოთ! — უთხრა ფრუნზემ ერმაკოვს, ჩამოართვა ხელი და ჩაყვა სანგრებს.



3

ეტევა დაიწყო დაღამებისას. წითელი არმია გადავიდა სივასის ფსკერზე და ზურგში მოექცა მტერს. თურქის დამბაზე და იუშუნზე ჯერ არ იცოდნენ: სივასის ამბავი და იცინოდნენ: „პერეკობი აუღებელია, ვერ მოხვალთ, წითლებო!“

ბლიუხერის შტაბში საველე ტელეფონმა ყრუდ დაიღუღუნა. ბლიუხერმა აიღო ტელეფონი, მოესმა:

— მე ვარ ფრუნზე. სივასი გადალახულია. აიღეთ იუშუნი.

— მესმის! — მიუგო ბლიუხერმა.

და ბლიუხერი ეცა იუშუნს. იუშუნი დახლართული იყო მავთულხლართით და დაჯავშნული იყო რკინაბეტონით. რამდენიმე სასტიკი იერიშის შემდეგ ბლიუ-

ხერმა აიღო იუშუნი. თურქის დამბა კი ისევ ისე იწვა ურჩხულივით და არ დრეკდა ფაფარს.

ერმაკოვმა თავისი ტყვიამფრქვევი რამდენიმეჯერ მიიტანა დამბასთან და ისევ დაიხია უკან. ერმაკოვი ბრაზისაგან კბილებს აკრაქუნებდა და განუწყვეტლივ აკაკანებდა ტყვიამფრქვევს.

— ფრუნზე, ფრუნზე! — გაისმა უცებ სანგრებში.

— ფრუნზე მოსულა, — გაიფიქრა ერმაკოვმა. — სადაც მეტი საშიშროებაა, მუდამ იქაა. გასამხნეველად მოვიდა.

შემდეგ მიუბრუნდა ტყვიამფრქვევს და უთხრა:

— აბა, დავსცხოთ, ძმობილო!

მაგრამ ტყვიამფრქვევი დუმდა.

— რა ამბავია? — გაუკვირდა ერმაკოვს და ტყვიამფრქვევი გასინჯა.

— საკეტი დამკარგვია, — დაასკვნა ერმაკოვმა. — ალბათ, ახლა რომ დავიხიეთ, მაშინ დამეკარგა. ვაი სირცხვილო! უნდა მოვძებნო საკეტი!

ყუმბარების გრაილში, ტყვიის ზუზუნში და ჯოჯოხეთურ ორომტრიალში ამოხოხნდა სანგრებიდან ერმაკოვი და თურქის დამბისაკენ წაფორთხდა. თურქის დამბიდან ხშირად წამოვიდოდა მამხალა, წითელი არმიის სანგრებზე აენთებოდა და ნაპერწყლებად დაიშლებოდა. მაშინ ერმაკოვი გაეკვრებოდა მიწას. მამხალა რომ ჩაქრებოდა, ერმაკოვი კვლავ განაგრძობდა ძებნას, ეძებდა ხელებით, ფეხებით, მთელი ტანით, ტურჩებსაც კი მიიტანდა მიწასთან. მაგრამ საკეტი არსად იყო. მხოლოდ ფიჩხი და ყუმბარებისაგან დაფხრეწილი მავთულხლართი ეყარა მიწაზე.

— საკეტი... საკეტი — ჩურჩულებდა ერმაკოვი. — ოხ, რა დროს დამეკარგა!

ბრაზი მოერია და დამბას მუშტი მოუღერა.

დამბა ახლა შავად გამოჩნდა. ერმაკოვი დააკვირდა. დამბა თანდათან გამოეყო სივრცეს, თითქოს ურჩხული წამოღგაო.



— ნუთუ თენდებ? — გაუელვა ერმაკოვს, — ახლა კი მომკლავენ. დამბიდან უმეკველად გამოვინდები.

უეცრივ ერთი მამხალა ახლოს დაეცა და ერმაკოვის გარემო გაანათა. საკეტი ეგდო დაგლეჯილ მავთულზე.

— საკეტი! — შესძახა ერმაკოვმა. მიფორთხდა და აიღო. უცებ ტყვიამ დაიწვილა და გაწვდილ ხელში უქბინა. გარიყრაქმი გააჩნია თბილი სისხლის ნაკადი. ერმაკოვმა შეხედა თავის სანგრებს. სანგრებში შეწყდა სროლა.

— ჩვენები იერიშზე გადმოდიან, — დაასკვნა ერმაკოვმა. — მე კი, მე ვერ მოვასწვრებ სანგრებში ჩასვლას. ოხ, რა დროს დავალუმე ტყვიამფრქვევი! მე, ბოლშევიკი, მალაროს მუშა, წითელარმიელი, პერეკაპის უკანასკნელ დღეს გამოვეთიშე წყობილებას... ძმებო! ამხანაგებო!

— ვაშა! — მოისმა სანგრებიდან, და წითელარმიელების ტალღამ ზევით ამოხეთქა.

თურქის დამბიდან ტყვია სეტყვასავით წამოვიდა. იერიშზე გადმოსულები მიწაზე გაწვენენ.

— ოხ, ერთი გუნდი მომცა აქ! — ინატრა ერმაკოვმა, — ჩვენები დაინახვდნენ, გული მიეცემოდათ და წამოვიდოდნენ.

ერმაკოვი მრავალ ფრონტზე იყო ნაომარი, იცოდა, რომ ზოგ შემთხვევაში ფიზიკური ძალა როდი წყვეტს საქმეს, არამედ სულიერი განწყობილება.

ჭრილობიდან კი სისხლი განუწყვეტლივ მოდიოდა. ერმაკოვმა ცხვირსახოცით შეიკრა ჭრილობა. ცხვირსახოცი სისხლით შეიღებდა. უეცრად ერმაკოვს ნათელმა აზრმა გაუნათა სახე. ტყაბუკი

შეიხსნა, ხალათი გაიღელა, პერანგს დი-
დი ნაჭერი მოხია და კრილობას შეუშ-
ვირა. სისხლმა შეღება ნახევი და გააწით-
ლა. ერმაკოვმა ისევ შეიკრა კრილობა.

— აი წითელი დროშა! — თქვა ერ-
მაკოვმა, სისხლიანი დროშა მავთულხლა-
რთის ჯოხზე წამოაგო და ააფრიალა.

იფრიშზე გადმოსულებმა თვალი მოჰ-
კრეს დროშას.

— დროშა! დროშა! — გაისმა რიგებ-
ში. — ჩვენები დამბასთან მისულან! — რაზ-
მი წამოდგა და ეცა დამბას. სანგრები-
დან მეორე ტალღამ ამოხეთქა, მეორეს
მესამე მოჰყვა. ერმაკოვის სისხლიანი
დროშა კი ამაყად ფრიალებდა და გმი-
რებს ეძახდა პერეკოპისაკენ.

გმირები ავიდნენ თურქის დამბაზე. პე-
რეკოპი დაცა.

ფრუნზემ ჩამოუარა წითელ ნაწილებს.
სივაზე, იუშუნზე, ლატვის ნახევარკუ-
ნძულზე და თურქის დამბაზე მუსიკა „ინ-
ტერნაციონალს“ აგუგუნებდა, და სივა-
შის ქარზე ფრიალებდნენ წითელი დრო-
შები. სარდალი საღამოს აძლევდა წითელ
დროშებს და უღიმოდა გმირებს. ერთ-
გან, თურქის დამბაზე, ფრუნზემ უცნაუ-
რი დროშა შენიშნა. პატარა იყო ის დრო-
შა, ჯოხზე წამოცმული. გვერდით ედგა




მკლავშეხვეული ერმაკოვი. სახეზე ნაც-
რისფერი ედო, მაგრამ ტუჩზე ბედნიე-
რების ღიმილი უთამაშებდა.

ფრუნზე მიუახლოვდა, ხელი მოჰკი-
და დროშას. ხელი წითლად შეეღება. სარ-
დალს აუხსნეს დროშის ამბავი.

ფრუნზეს ჭკვიანი შუბლი დაეღარა.
ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ
ასწია გასისხლიანებული ხელი და წითელ-
არმიელებს უთხრა:

— ამხანაგებო! მუდამ მაღლა გვეჭი-
როს წითელი არმიის გმირული დროშა
და არავის დაეანებოთ ჩვენი სოციალის-
ტური სამშობლო!

ერმაკოვი ბედნიერი იყო. ის უყურებ-
და თავის დროშას. დროშიდან უღიმო-
და საკუთარი სისხლი.





გარეგანი

ჩამოჯდები მუხის ძირას,
აკნატუნებ მზისუმზირას.



ჩახანია იმყოფები
ჩვენს მხარეში, ჩვენს სოფელში, —
არც წიგნი და არც რვეული
არ მინახავს მე შენს ხელში.



ჩამოჯდები მუხის ძირას,
აკნატუნებ მზისუმზირას.



საზაფხულო დავალებას
არ ასრულებ მტკიცედ, ზუსტად,

რუსული ხომალსულ არაგვისის,
მშობლიურიც იცი სუსტად.



ჩამოჯდები მუხის ძირას,
აკნატუნებ მზისუმზირას.



გადახედე შენს მეგობრებს,
ყველასა აქვს ფრიალები,
შენ კი, როგორც თვალს გაახელ,
მზისუმზირას მიაღებდი.




ჩამოჯდები მუხის ძირას,
აკნატუნებ მზისუმზირას.

წალვარი



ე. თაყაიშვილი



ლაშვირას ნატკრა

ჯერ ცხრა წლისა არც-კი არის
ეს ლაშვირა ცუგრუმელა,
თვალეში კი, მის თვალეში,
იბარურის ცეცხლი ელავს.
ესპანეთზე ოცნებობს და
მათ რიგებში ბრძოლას ნატრობს,
რომ საზიზღარ ფაშისტ ფრანკოს
ტყვიით გული გაუფატროს.

თოფის სროლაც ისე იცის,
ვერა სჯობნის მას ვერც დიდი,
ფიქრში გართულს ეჩვენება
ხან ტოლედო, ხან მადრიდი.
ჯერ ცხრა წლისა არც-კი არის
ეს ლაშვირა ცუგრუმელა,
თვალეში კი, მის თვალეში,
იბარურის ცეცხლი ელავს.



თოვლი, თოვლი! თეთრი თოვლი
საბანივით გადაშლილა,
რა სუფთაა, რა ხალასი,
გამჭვირვალე, თეთრი დილა!
ხეებს მკლავი გაუშლიათ,
ხეებს თოვლი თეთრად ანთებს,
მოდის ფიფქი, მოდის ლალად,
ქარი ურევს თოვლის ფანტელს.
თეთრ-ფაფუკი ეს ნაბადი
სად გინდათ რომ არ აგია,—
დაუფარავს მთა და ბარი
თოვლს შშრალსა და ბარაქიანს!

მე სახლიდან გამოვიტან
ახლადახალ თხილამურებს.
მივსრიალებ. ცივი ფიფქი
ცხელ სახეზე მილამუნებს.
ვიცინი და შემომცინის
გაპენტელი თეთრი არე,
ქარი შხუის, ქარი დაქრის,
მე კი თოვლზე მივსრიალებ.
თოვლი, თოვლი! თეთრი თოვლი
საბანივით გადაშლილა.
—რა კარგია, რა ხალასი,
მზიარული ზამთრის დილა!



(დასასრული*)

ოჲ ხელში ჩაგვივარდა სადმე, ერთი მაგრა გავძაგროთ! და მერე ასე წიხლე-
ბით, აი ასე!—დაუმატა ნიფნიფმა და დაიწყოა წიხლების სროლა, ვითომც
ასე გაუმსაპინძლდებოდა მგელს. თან სიმღერაც დაიწყეს და ღრუტუშუნებდნენ:

მგელი ჩვენ რას დაგვაკლებს,
დაგვაკლებს, დაგვაკლებს,
მგელი თათსაც ვერ გვახლებს,
ვერ გვახლებს, ვერ გვახლებს!

უცბად დანახეს ნამდვილი ცოცხალი მგელი. მგელი დიდ ნაძვის უკან იდგა
და ისეთი საშინელი იყო, ისეთი ბოროტი და ისეთი ბასრკბილებიანი პირი და-
ვლო, რომ ნიფნიფსა და ნუფნუფს ცივმა ოფლმა დაასხა და პატარა კუდეები აუ-
ცახცახდათ. საბრალო გოჭები შიშისაგან ფეხს ველარ იცვლიდნენ.

მგელმა მარჯვენა თვალი აახამხამა, კბილები გაატაკუნა და ის-ის იყო
უნდა მივარდნოდა გოჭებს, რომ ისინი უცბად გამოერკვივნენ, მიხედნენ, რაც
იყო იმათ თავს, და კიჭკინით მოკურცხლეს ტყისაკენ.

* დასაწყ. იხ. ჟურნ. „ოქტომბ.“ № 1

არასოდეს ასე გამალებით არ შეხვედრიათ სირბილი.

ისე გაჭუსლეს, ისე შირბოდნენ, რომ კორიანტელი დააყენეს. ორივე ლისაკენ შირბოდა.

ნიფნიფი პირველი მივიდა თავის ჩალით დახურულ სახლში.

ძლივს მოასწრო კარის მიხურვა.

—ახლავე გამიღე კარი, — თორემ შემოვამტვრევ! — დაემუქრა მგელი.

—ვერ მოგართვეს! — შეპლრუტუნა გოქმა.

კარის უკან ისმოდა მგლის საზარელი სუნთქვა.

—ახლავე გამიღე მეთქი! — დაიღმუილა მგელმა. — თუ არა და ისე შევუბერავ, რომ შენი სახლი ხელად განიადღეს.

ახლა კი ნიფნიფმა შიშით ხმა იწყვიტა.

მგელმა დაუბერა: ფუ-უ-უ-უ!

სახურავიდან ჩალა აქეთ-იქით მიფრინავდა. კედლები ზანზარებდნენ.

მგელმა ერთი ღრმად ჩაისუნთქა და მეორედ შეუბერა: ფუ-უ-უ-უ!

მგლის მესამე შებერვამ სახლს ბოლო მოუღო. თითქოს გრიგალი ამოვარდაო, ისე უბერავდა მგელი.

ზედ გოქის ღინგთან გაატაკუნა მგელმა კბილები, მაგრამ ნიფნიფი გაუსხლტა და ერთი წუთის შემდეგ ნუფნუფის სახლის კართან გაჩნდა.

ძლივს მოასწრეს ძმებმა კარის დაკეტვა რომ მგლის ხმა მოესმათ:

—ახლა კი ორივეს ერთად შეგახრამუნებთ! ნიფნიფსაც და ნუფნუფსაც შიშისაგან ფერი ეცვალათ. ერთმანეთს გადახედეს.



მგელი დაღლილი იყო და ეშმაკობას მიმართა.

—მე გადავიფიქრე! — თქვა მგელმა ხმამაღლა, განზრახ, რომ ძმებს გაეგოთ იმის სიტყვები. — აბა, რა საჭმელია ეს გაჭუსტული გოქები! სჯობია შინ წავიდე.

—ხომ გაიგონე? — შეეკითხა ნიფნიფი ძმასა, — არა ღირს ამათი შექმაო.

—ძალიან კარგი, თუ-კი მგელი შინ წავა, — თქვა ნუფნუფმა და კანკალმა ხელად გაუარა.

ძმები გამზიარულდნენ და, თითქოს არავითარი საფრთხე არ ყოფილიყოს, ისევ სიმღერა შემოსძახეს:

მგელი ჩვენ რას დაგვაკლებს,
დაგვაკლებს, დაგვაკლებს,
მგელი თათსაც ვერ გვახლებს,
ვერ გვახლებს, ვერ გვახლებს.

მგელი არსად არ აპირებდა წასვლას. ის მხოლოდ გვერდით მიდგა და გაინაბა. მგელს გუნებაში ეცინებოდა, რომ ასე ადვილად მოატყუა ორი ტუტუი გოქი.

მოიცადა კიდევ, რომ გოკები სრულიად დაშვიდებულიყვნენ, მერე წაიღო ცხვრის ტყავი, დიდი კალათი და ფრთხილად მიიპარა გოკების საფართან. კარებთან ჩაჯდა კალათში, ზედ ცხვრის ტყავი გადაიფარა და ნელა მიუკაკუნა.

კაკუნზე ნიფნიფს და ნაფნაფს ძლიერ შეეშინდათ.

— ვინა ხარ? — შეეკითხნენ გოკები და ისევ აუცახცახდათ კულები.

— ეს მე-მე-მე-მე ვარ, პატარა ბატანი! — წერილი ხმით დაიწროპინა მგელმა.

— შემოშვით, ღამე გამათევინეთ... ცხვრის ფარას ჩამოვშორდი... ძლიერ მე... მე... შინა!

— რას იტყვი, შემოვუშვათ? — შეეკითხა ძმას კეთილი ნიფნიფი.

— რატომაც, ბატანის შემოშვება შეიძლება, — დაეთანხმა ნუფნუფი. ისიც კეთილი გოკი იყო.

მაგრამ როგორც კი გააღეს კარი, ბატანის მაგივრად გაღებულნი ხახა დახვდათ. ძმებმა ხელად მიახათქუნეს კარი და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, მიაწვენ. მგელი ძლიერ განრისხდა, რომ ვერ მოატყუა გოკები.

იქით გადაისროლა ცხვრის ტყავი, გადატყორცნა კალათი და დაიღმულია: — მე თქვენ გიჩვენებთ სვირს! ისე შევუბერო ამ სახლს, რომ, მგონი არაფერი არ დარჩეს!

მგელმა თავისი ნათქვამი შეასრულა. დაჰბერა. სახლი გადაიხარა ცალ გვერდზე. მეორედ შეუბერა, შესამედ.

სახურაიდან სციოდა ფოთლები, კედლები ირხეოდა, მაგრამ სახლი ჯერ კიდევ იღვა.

და მხოლოდ მესუთე შებერვის შემდეგ სახლი შეირხა და დაინგრა.

მხოლოდ ერთადერთი კარი იღვა ცოტახანს ამ ნანგრევთა შორის.

თავზარდაცემულმა გოკებმა თავს ძლიერ უშველეს.

შიშისაგან მუხლებში ძალა წაერთვათ. ყოველი ჯაგარი ზურგზე უცახცახებდათ. პატარა ღინგები გაუშრათ. რაც ძალა და ღონე შესწევდათ, ძმები ნაფნაფის სახლისაკენ მირბოდნენ.

მგელი დიდ ნახტომებს აკეთებდა. ერთ წამს ის-ის იყო მგელს კბილი უნდა წაეწლო ნიფნიფისათვის უკანა ფეხში, მაგრამ ნიფნიფი მოხერხებულად გაუსხლტა და სირბილს უმატა.


მგელმაც მოუმატა ნაბიჯს. დარწმუნებული იყო, რომ ახლა კი თავს ვერ დააღწევდნენ და მისი ლუკმა იქნებოდნენ.

მაგრამ კიდევ ხელი შეეშალა.

გოკებმა ფრთხილად გაურბინეს ვაშლის დიდ ხეს, მგელმა კი დროზე ვერ მორარდა თავი, გაქცეული ისე ეხეთქა ამ ხეს, რომ ვაშლები დაბერტყა. ერთი მკვახე ვაშლი თვალებს შუა დაეცა და ვეფერთელა კოპი ამოუჯდა შუბლზე.

ნიფნიფი და ნუფნუფი ცოცხალმკვდარნი მიიჭრნენ ნაფნაფის კარზე.

ძმამ მაშინვე გაუღო კარი. საბრალო გოკები ისე იყვნენ შეშინებულნი, რომ ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდნენ და პირდაპირ საწოლქვეშ შეძვრნენ.



ნაფნაფი მაშინვე მიხვდა: ალბათ მგელი დაედევნათო, მაგრამ ნაფნაფს არ უჭირს — რა თავის ქვიტკირის შენობაში. ხელად გადარაზა კარი, მიუჯდა პანანოსს და დაამღერა:

მე უფრო ის მახარებს,
 მახარებს, მახარებს,
 მგელი რომ ვერ გააღებს
 ამ კარებს, ამ კარებს.

— ვინ აბრაზუნებს? — შეეკითხა ნაფნაფი.

— ეს მე ვარ, ჯაგარისით მოვაქრე, — მოისმა ბოხი ხმა. — ხომ არ ინებებთ ჩემი საქონელი დაათვალიეროთ?

ნაფნაფმა ოდნავ გააღო კარი და დაინახა ბანჯგვლიანი თათი. სასწრაფოდ გამოსტაცა ჯაგარისი და სწორედ იგი დაჰკრა გამოწვდილ თათზე. მგელს ეტკინა და შეპლმუვლა.

— მაშ ვგრეა? ახლა კი მიფრთხილდით! სამივეს ერთად შეგკამთ!

ნაფნაფმა იცოდა, რომ მგელი თავის მუქარას ასე ადვილად ვერ შეასრულებდა: ტყუილად ხომ არ ააგო მკვიდრი შენობა.

მაშინ მგელმა ღრმად ჩაისუნთქა და შეუბერა, რაც ძალა და ღონე შესწევდა მაგრამ რამდენიც არ უბერა, ვერც ერთი სულ პატარა აგურიც კი ვერ დაძაღვლილან.



მიხვდა ყოველივეს.

ნაფნაფი მივარდა წყლიან ქვაბს და ხუფი ახადა.

გამურულმა, გაშვეებულმა მგელმა ტყაპანი მოაღინა მღელღარე წყალში.

ოხ, არასოდეს თავის სიცოცხლეში ისე არ გამწარებულა მგელი, როგორც ამ წუთს!

სიმწარისაგან კინალამ თვალის კაკლები გადმოუცივდა. ჯაგარი ყალყზე აუღდა.

მგელს ისეთი ძალა დაადგა, რომ სულ გალურჯდა სახლი კი ციხესავით მაგრა იდგა.

მაშინ მგელი დაეჯაჯგურა კარებს, — არც კარი შეეპოვა. დაშვეულმა გაბრაზებულმა მგელმა სახლს ირგვლივ შემოუარა მაგრამ ვერც ერთი ხვრელი ვერ იპოვა, რომ შესძლებოდა სახლში როგორმე შესვლა. მეტი გზა აღარ იყო. უნდა შინ წასულიყო.

თავი ასწია ზევით და უცბად სახურავზე შენიშნა ბუხრის დიდი მილი.

— აი, საიდან შეიძლება ჩასვლა, — გაიფიქრა მგელმა და ფრთხილად აძვრა სახურავზე. სახლში სრული სიჩუმე იყო.

— რათაც არ უნდა დამიჯდეს, მე მაინც ვისაუზმებ გოჭის ხორცით! ილიაკავდა ტუჩებს მგელი და თან გაჰვარტლულ მილში ძვრებოდა.

გოჭებმა ყურები აცქვიტეს და როდესაც ქვაბის ხუფს ჰვარტლი დაეყარა, ნაფნაფი

საშინელი ღრიალით ავარდა მგელი ისევ ზევით, მაგრამ სახურავზე ფეხი დაუცდა, გადმოვარდა, ოთხჯერ გადმოკოტრიალდა, სწორედ კართან დასურდა და მოკურცხლა შინისაკენ.

გოჭები კი, სამი ძაშია, თანჯრიდან იცქირებოდნენ და უხაროდ, ასე გააცურეს მგელი. და მერე ყველამ ერთად შემოძახა მხიარული სიმღერა:

ჩვენ ვერავინ დაგეძრახავს,
დაგეძრახავს, დაგეძრახავს,
უკეთეს სახლს სად ნახავს,
სად ნახავს, სად ნახავს?
ჩვენ უფრო ის გეძახარებს,
გეძახარებს, გეძახარებს,
მგელი რომ ვერ გააღებს
ამ კარებს, ამ კარებს
მგელმა შიშით დავეტოვა,
დაგვეტოვა, დაგვეტოვა!
არასოდეს არ მოვა,
არ მოვა! არ მოვა!

ამის შემდეგ ძმები ერთად დასახლდნენ.

აი, რაც ვიცი ჩვენ სამი გოჭის — ნიფნიფისა, ნუფნუფისა და ნაფნაფის — ცხოვრების შესახებ.

თარგმანი შარდუანიძისა.

ლილია მებრალიძა

მეომუნნი ნაბი



არ გინახავთ ჩემი ნაბი?
კობტაა და ნაბი,
მას სახეზე ორი თვალი
გიშერივით აზის.

წინსაფარს რომ გაიკეთებს
ყვავილებით ნაკერს,

უნდა ნახოთ, ხელეებს როგორ
უცაცუნებს სარკეს.


გადივარცხნის შუბლზე ქოჩორს,
აცმუკდება, დარბის...
მეგობრებო, გაიცანით
მაიმუნნი — ნაბი.





ჩვენი საყვარელი პოეტია აკაკი წერეთელი. ის 1840 წელს დაიბადა და 1915 წელს გარდაიცვალა. აკაკი წერეთელი მშრომელი ხალხისათვის ისეთი საყვარელი ადამიანი გახდა, რომ თუ უწინ მშობლები აკაკის იშვიათად არქმევდნენ ბავშვებს, შემდეგ ეს სახელი ძალიან გახშირდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იქნებ ჩვენი შეილიც აკაკისთანა გამოვიდესო.

აკაკი წერეთელი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავს დასტრიალებდა საქართველოს. მის ლექსებში გამათრახებელია ყველა მჩაგვრელი. მას უყვარდა გლეხები. თვითონაც გლეხის ოჯახში იზრდებოდა პატარობისას. აკაკი თავის თავგადასავალში წერს: „თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შეილებთან ერთად ვიზრდებოდი“.



აკაკის გარდაცვალებიდან 23 წელიწადი შესრულდა წელს, თებერვალში. იგი სიცოცხლეშიც საყვარელი პოეტი იყო ხალხისათვის, ასევე საყვარელია დღეს და იქნება მომავალშიც. ისე თავისუფლად აკაკის ნაწერებს არასოდეს არ სწავ-

ლობდა ხალხი, როგორც დღეს, როცა ჩვენი ცხოვრება ბედნიერი და საამური გახდა.

პ კ კ კ ი

ჩ ე მ ი თ ხ ა

ჩემო ლამაზო ბეკეკა,
შენ, ჩემო თხაო ბელაო,
ჩემი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო.
წვერი გაქვს დეკანოსისა
და რქები ეშმაკისაო,
კბილები, ნამგლად ნალესი,
ნეკერს ჰკერებს, ბალახს მკისაო.
მთაში რომ წაკოკინდები,
დააგდებ მინდორ-ველსაო,
ჯიხვებს ეწვევი კლდეებში,
იქ მოიღერებ ყელსაო.
გაძლები, გასისინდები,
ჯიქანს გაივსებ რძითაო!

რა გზითაც დილას წასულხარ,
ბრუნდები იმავ გზითაო.
მოხვალ და საწველს ამივსებ,
არ დამამადლი წველასო!
მეძღვნეო ჩემი შეილების,
შენ მიორჩენიხარ ყველასო!
თვალის ჩინივით მოგივლი,
ნუ გეშინიან მტერისო!
მაგ ძუძუების ჭირივ:
საწველში ჩაიმღერისო!
ბეკეკავ! ჩემო ბეკეკავ!
შენ, ჩემო კარგო ბელაო,
ჩემი ოჯახის ურგები
შენ გენაცვალოს ყველაო!





ქართული
ლიბრარი

„ვეუბასტაოსნის“ ილუსტრაცია, შესრულებულია სამხატვრო ტექნიკუმის I კურსის მოწაფის
დეიდა თაბუკაშვილის მიერ



„ნახვ უუხო მოცუე ვინუ, ჯდა მტირალი წულასა პირა“.



რამ დაუპყროს ჟირაფები

ლოლად ნაგარდობდნენ ჟირაფები მწვანე ბალახზე, თავისუფლად გრძნობდნენ თავს, მაგრამ აი მათ თვალი მოჰკრეს საშინელ მტაცებელ მხეცს, შეკრთნენ ისინი, დამფრთხალეზმა ასწიეს თავისი მაღალი კისრები და კუნტრუშით გასწიეს თავის საშველად.

იპოვეთ ამ ნახატზე ეს მტაცებელი.

პ. ს. სკინოვი

გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი

1.

მცენარეა, საახალწლოდ სიხარულით იძენს ყველა (იმის ადგილს ვერ დაიჭერს ვერც ცაცხვი და ვერც წიფელი). სკოლებსა და ბინებში დგას ბრწყვიალა და ტანმორთული, მის წინ ჩვენს ბედნიერ ბავშვებს ზეიმი აქვთ გამართული.

2.

იგი ჩვენთან ახლოს ცხოვრობს, ლამაზია და ფრთამალი, თუ ალაღმა დაიჭირა, ვაი, მართლაც, მისი ბრალი! მომღურავი არავინ ჰყავს, სათნოა და მეტად მშვიდი; ზოგჯერ, როგორც ფოსტის შიკრიკს, სარგებლობა მოაქვს დიდი.